



საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

ქ. თბილისი

03/06/2021 წელი

№ MOD 9 21 00000453



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის კონცეფცია“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ჯუანშერ ბურჭულაძე



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
გენდერული თანასწორობის
კონცეფცია

სარჩევი

მუხლი 1. შესავალი	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები.....	3
მუხლი 3. რეგულირების სფერო.....	4
მუხლი 4. მიზანი	5
მუხლი 5. პრინციპები	5
მუხლი 6. ძირითადი მიმართულებები და ამოცანები	6
მუხლი 7. განხორციელება, მონიტორინგი და ანგარიშგება	8

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. შესავალი

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) გენდერული თანასწორობის კონცეფცია (შემდგომში - კონცეფცია) ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ და ასევე, საერთაშორისო აქტებითა და მარეგულირებელი დოკუმენტებით დეკლარირებულ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფასა და დაცვას.

2. გენდერული თანასწორობის პრინციპების ორგანიზაციული განვითარების და ადამიანური რესურსების მართვის კონცეპტუალურ ასპექტებში გათვალისწინება სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. ამდენად, სამინისტროს პრიორიტეტია სამოქალაქო ოფისში, საქართველოს თავდაცვის ძალებსა და სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (შემდგომში - სამინისტროს სისტემა) ქალების და კაცების უფლებების თანაბარი დაცვა, შესაძლებლობების თანაბარი და ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა შესაბამისი მექანიზმების დანერგვით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ა) **გენდერი** - სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე;

ბ) **გენდერული თანასწორობა** - ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და კაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

გ) **გენდერული მეინსტრიმინგი** - ყველა სფეროში და დონეზე პოლიტიკის შემუშავებისას და განხორციელებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება;

დ) **თანასწორი შესაძლებლობები** - ქალისა და კაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა;

ე) **თანასწორი მოპყრობა** - განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

ვ) **გენდერული დისკრიმინაცია:**

ვ.ა) **პირდაპირი დისკრიმინაცია** - ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად;

ვ.ბ) ირიბი დისკრიმინაცია – ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად;

ზ) **სექსუალური შევიწროება** - სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაზინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.¹

მუხლი 3. რეგულირების სფერო

1. კონცეფცია ადგენს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებს და ვრცელდება სამინისტროს სისტემაზე.

2. კონცეფცია სამინისტროს სისტემას ხელს უწყობს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიმართულებით. კონცეფცია ეფუძნება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონებს, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს.

მუხლი 4. მიზანი

1. კონცეფციის მიზანია სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის მიზნის განსაზღვრა, სათანადო კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება, პრინციპების შემუშავება, ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა.

2. სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის მიზანია კაცებისა და ქალების თანაბარი მონაწილეობით, შესაძლებლობების თანაბარი განვითარებით და არადისკრიმინაციული გარემოს წახალისებით, მხარი დაუჭიროს სამინისტროს სისტემის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას, მათ შორის თავდაცვის მზადყოფნის ამაღლებას.

მუხლი 5. პრინციპები

1. გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპები ვრცელდება სამინისტროს სისტემის ადამიანური რესურსების მართვის პროცესებზე, ორგანიზაციულ კულტურაზე (თანაბარი შესაძლებლობები, გენდერული ბალანსი, გენდერულად მგრძობიარე სამუშაო გარემო),

¹საქართველოს პარლამენტი, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010 წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>

პერსონალის კომპეტენციასა და შესაძლებლობების განვითარებაზე, კვლევებზე და კომუნიკაციაზე.

2. სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) **კანონიერება** - სამინისტრო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და საჯარო ინტერესების დაცვას;

ბ) **ობიექტურობა** - სამინისტრო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად, ამკვიდრებს და აძლიერებს ობიექტური და სამართლიანი მიდგომის სტანდარტებს ადამიანური რესურსების მართვის ყველა ეტაპსა და პროცესში;

გ) **თანასწორობა** - სამინისტრო აყალიბებს ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული იმ ღირებულებებით, რომლებიც მოიცავს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას განურჩევლად სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა; აღიარებს და პატივს სცემს აზროვნების მრავალფეროვნებას. შესაბამისად, გენდერული თანასწორობა გულისხმობს სამინისტროს სისტემის მუშაობაში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის, მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების თანაბარი შესრულების, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარი და ეფექტიანი რეალიზების მხარდაჭერას, აგრეთვე დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციას, აღმოფხვრას და გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას;

დ) **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** - გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მიზნით, სამინისტრო მოქმედებს ღიად, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობათა შესახებ ანგარიშვალდებულებას ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 6. ძირითადი მიმართულებები და ამოცანები

1. სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებებია:

ა) გენდერული თანასწორობის განმტკიცება და დაცვა;

ბ) სწავლება და განვითარება;

გ) სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა;

დ) ოპერაციებში/სწავლებებში/კურსებში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება.

2. გენდერული თანასწორობის განმტკიცებისა და დაცვის მიმართულებით ძირითადი ამოცანებია:

ა) **გენდერული მეინსტრიმინგი** - სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის განმტკიცებისა და დაცვისთვის ხორციელდება გენდერული მეინსტრიმინგი სამინისტროს პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში. გენდერული პერსპექტივები ინტეგრირებულია ადამიანური რესურსების პოლიტიკის (მათ შორის, რეკრუტირების, პროფესიული განვითარების, კარიერის მართვის და შენარჩუნების)

შემუშავების და განხორციელების პროცესში. ასევე, მიმდინარეობს სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება, ანალიზი და საპასუხო პოლიტიკის შემუშავება;

ბ) დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა - სამინისტრო უზრუნველყოფს რეაგირებას და პრევენციას ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით, პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციით;

გ) გენდერული მრჩევლების პროფესიული განვითარება - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები სარდლობების, ბრიგადებისა და ბატალიონების დონეზე, უზრუნველყოფენ საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ერთეულებში G1/S1 პოზიციაზე დანიშნული სამხედრო მოსამსახურეების გადამზადების მხარდაჭერას, რომლებიც საქართველოს თავდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრანებით დამტკიცებული სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების ნუსხის/კოდების მიხედვით ითავსებენ გენდერული მრჩევლის ფუნქციებს და უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის პრინციპების გატარებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დონეზე;

დ) სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის კვლევა და შეფასება - სამინისტრო რეგულარულად ახორციელებს ორგანიზაციული კლიმატის კვლევებს და ორგანიზაციული გარემოს მუდმივი გაუმჯობესების ღონისძიებებს. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფარგლებში, ორგანიზაციული კლიმატის კვლევა ყოველთვის ეფუძნება სქესის ნიშნით მონაცემთა სეგრეგაციას. აღნიშნული კვლევები შეისწავლის კაცების და ქალების აღქმებს და განწყობებს სამსახურეობრივ გარემოსთან დაკავშირებით, მათ შორის: უფლებების დაცვას, დისკრიმინაციას, სტერეოტიპებს, პროფესიული რეალიზაციის და განვითარების შესაძლებლობებს, სამსახურისადმი და ერთმანეთისადმი დამოკიდებულებებს;

ე) თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა - სამინისტრო ხელს უწყობს პერსონალის თანასწორ პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას. ამ მიზნით, მხარს უჭერს გენდერული ბალანსის დაცვას, ქალი სამხედრო მოსამსახურეების ჩართულობის და მონაწილეობის გაზრდას, ასევე, პროფესიული და კარიერული განვითარების პროგრამებში მათ პროპორციულ წარმომადგენლობას.

3. ცნობიერების ამაღლების, სწავლებისა და განვითარების მიმართულებით ძირითადი ამოცანებია:

ა) ცნობიერების ამაღლება - სამინისტროს პერსონალისთვის რეგულარულად ხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, მათ შორის: საინფორმაციო შეხვედრები, ლექციები და ტრენინგები, რომლებიც მოიცავს გენდერული თანასწორობის თემებს და სამინისტროს შესაბამისი პოლიტიკისა და მექანიზმების შესახებ ინფორმაციას;

ბ) გენდერული თანასწორობის შესახებ პროფესიული და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება - გენდერული თანასწორობის, სექსუალური შევიწროების და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ პროფესიული და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების მიზნით მუდმივად ხორციელდება კურიკულუმების განახლება და განვითარება.

4. სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მიმართულებით ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონცეპტუალური და მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება, შესაბამისი მექანიზმების განვითარება - სამინისტროს სისტემაში ფუნდამენტურად მიუღებელია ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობა, ჩადენილი მშვიდობიან პერიოდში, საომარი/საგანგებო მოქმედებებისა და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მიღების დროს და ამგვარი ქმედება რეგულირებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

5. ოპერაციებში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირების მიმართულებით ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) გაეროს უშიშროების საბჭოს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ რეზოლუციების განხორციელება - სამინისტრო უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

ბ) გაეროს უშიშროების საბჭოს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ რეზოლუციების პრინციპების გათვალისწინება სხვადასხვა სახის ოპერაციების, სწავლებებისა და კურსების დროს - სამინისტრო იზიარებს ნატო-ს და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს პოლიტიკას „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ და აღიარებს კონფლიქტური და პოსტკონფლიქტური სიტუაციების განსხვავებულ გავლენებს, საფრთხეებსა და საჭიროებებს ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების მიმართ. შესაბამისად, სამინისტრო უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ოპერაციების, სწავლებებისა და კურსებისათვის პერსონალის მომზადების, მათ შორის საერთაშორისო მისიებისთვის გადასროლისწინა მომზადების პროგრამებში „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, სწავლებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

მუხლი 7. განხორციელება, მონიტორინგი და ანგარიშგება

1. სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულები, კონცეფციის, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონის - „გენდერული თანასწორობის შესახებ“, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული „ეროვნული სამოქმედო გეგმების“ თანახმად, უზრუნველყოფენ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული ვალდებულებების სრულად განხორციელებას.

2. კონცეფციის განხორციელებაზე მონიტორინგს აწარმოებს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი“ (შემდგომში - მონიტორინგის ჯგუფი), რომელიც ზედამხედველობას უწევს მოცემული კონცეფციით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგს და სამინისტროს სისტემაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ მომართვის შემთხვევაში, ახდენს რეაგირებას მონიტორინგის ჯგუფის დებულების შესაბამისად.

3. კონცეფციის ამოცანების შესრულება მხარდაჭერილი იქნება სამინისტროში გენდერული თანასწორობის განხორციელების სამოქმედო გეგმით, რომელსაც შეიმუშავებს და საჭიროებისამებრ განაახლებს მონიტორინგის ჯგუფი.

4. აღნიშნული კონცეფციის განხორციელების და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს უსაფრთხოების სექტორის სხვა უწყებებთან, პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.